- 2.1 ექვემდებარება უპირატესობის პრინციპს, რომელიც მოცემულია საკონტრაქტო ხელშეკრულებაში, კონტრაქტის შემადგენელი ყველა დოკუმენტი (და მისი ყველა ნაწილი) უნდა იყოს ურთიერთშესაბამისი, დამატებითი და ურთიერთ განმარტებითი. საკონტრაქტო ხელშეკრულება განხილულ უნდა იქნას მთლიანობაში.

3. თაღლითობა და მექრთამეობა

- 3.1 თუ დამკვეთი გადაწყვეტს, რომ კონტრაქტორი ჩართულია კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით ან ხელის შემშლელ საქმიანობაში, ან შეთქმულებაში, რომელიც მიმართულია ხელშეკრულების მოპოვებისა თუ შესრულებისაკენ, დამკვეთი უფლებამოსილია კონტრაქტორისათვის 14 დღით ადრე უწყების შემდეგ შეწყვიტოს კონტრაქტორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაქირავება და გააუქმოს იგი; ამ შემთხვევაში 31-ე პუნქტის დებულებები გამოიყენება 31.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დათხოვნის მსგავსად.

(a) წინამდებარე ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე:

- (i) "კორუფციული საქმიანობა" გულისხმობს მეორე მხარის ქმედებებზე პირდაპირ ან ირიბად შეუსაბამო გავლენის მოხდენის მიზნით რაიმე ღირებულის შეთავაზებას, გადაცემას, მიღებას ან მოთხოვნას,
- (ii) "თაღლითობა" წარმოადგენს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, მათ შორის არასწორი წარმოდგენა, რომელიც განზრახ ან დაუფიქრებლობით შეცდომაში შეიყვანს, ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას, რათა მხარემ მოიპოვოს ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი ან თავიდან აიცილოს ვალდებულება;
- (iii) "შეთქმულება" წარმოადგენს ორ ან მეტ მხარეს შორის შემუშავებულ გეგმას, რომელიც მიმართულია შეუსაბამო მიზნის მიღწევისაკენ, მათ შორის მეორე მხარის ქმედებებზე არამართლზომიერი გავლენის მოხდენისაკენ;
- (iv) "იძულება" გულისხმობს ხელის შეშლას, ან ზიანის მიყენებას, ან ზიანის მიყენების ან ხელისშეშლის მუქარას, პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი მხარის მიმართ ან მხარის ქონების მიმართ, რაც მიზნად ისახავს მხარის ქმედებებზე გავლენის მოხდენას
- (v) ხელისშემშლელი საქმიანობა არის:
 - (aa) მტკიცებულებების განზრახ განადგურება, შეცვლა, დაფარვა ან ცრუ ჩვენებების მიცემა გამომძიებელთათვის, რათა არსებითად შეფერხდეს ბანკის მიერ წარმოებული სავარაუდო კორუფციული, თაღლითური, იძულების ან შეთქმულებითი საქმიანობის გამოძიება; ან/და ნებისმიერი მხარის მიმართ განხორციელებული მუქარა, შეშფოთება, ან დაშინება, რათა თავიდან აცილებულ იქნას მისთვის ცნობილი საქმეების გამჟღავნება გამომძიებელთათვის ან გამომძიების გაგრძელება; ან

(bb) ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს არსებითად ხელი შეეშალოს ბანკს ისარგებლოს 11-ე მუხლით მინიჭებული შემოწმებისა და აუდიტის განხორციელების უფლებით

3.2 თუ დადგინდება, რომ კონტრაქტორის თანამშრომელი ჩართულია კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით ან ხელის შემშლელ საქმიანობაში ან შეთქმულებაში სამუშაოების შესყიდვის პროცესის მსვლელობისას, აუცილებელია ამ თანამშრომლის დათხოვნა.

4. ინტერპრეტაცია

- გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შინაარსი სხვაგვარად მოითხოვს:
 - a). მხოლოდობითი აღმნიშვნელი სიტყვები ასევე აღნიშნავენ მრავლობითს და მრავლობითის აღმნიშვნელი სიტყვები ასევე გულისხმობენ მხოლოდობითს.
 - b). დებულებები, რომლებიც მოიცავენ სიტყვებს, "თანხმობა", "შეთანხმება", "შეთანხმებული" მოითხოვს შეთანხმების წერილობითი ფორმით გაფორმებას, და
 - c). "წერილობითი" ან "დაწერილი" აღნიშნავს ხელნაწერს, დაბეჭდილს, ბეჭდურს ან ელექტრონულად შექმნილს, რომელიც აისახება მუდმივ ჩანაწერში.

4.1 მთლიანი შეთანხმება

ხელშეკრულება შეადგენს მთლიან შეთანხმებას დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის და ანაცვლებს მხარეებს შორის ყველა სახის კომუნიკაციას, მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებს (წერილობითსა თუ ვერბალურს), რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე.

4.2 ცვლილებები

ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა არ იქნება იურიდიული ძალის მქონე, თუ ის არ იქნება წერილობითი ფორმის, დათარიღებული და ხელმოწერილი თითოეული მხარის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

4.3 უფლების შენარჩუნება

(ა) GCC-ის 4.4(ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კონტრაქტის ნებისმიერი ვადებისა და პირობების შესრულებაზე ნებისმიერი შემსუბუქება, ხელშეკრულების დაყოვნება ან გაგრძელება ნებისმიერი მხარის მიერ, ან ერთი მხარის მიერ მეორისთვის დროის მინიჭება არ იმოქმედებს ან შეზღუდავს ამ მხარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს; ასევე ნებისმიერი მხარის მიერ უარის თქმა მის უფლებაზე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ისარგებლოს არსებული სამართლებრივი საშუალებებით არ გულისხმობს ხელშეკრულების შემდგომი ან განგრძობადი დარღვევების შემთხვევაში უარის თქმას შესაბამის სამართლებრივ საშუალებებით სარგებლობაზე.

(ბ) მხარეთა მიერ კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებზე, უფლებამოსილებაზე ან სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე უარის თქმა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, დათარიღებული და იმ მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, რომელიც უარს აცხადებს რაიმე უფლებაზე, ასევე იგი უნდა მიუთითებდეს იმ უფლებებს და მის ფარგლებს, რომელზეც ხდება უარის თქმა.

4.4 ნაწილობრივი ბათილობა

თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ან პირობა აკრძალულია, ბათილია, ან მოკლებულია სამართლებრივ ძალას, ამგვარი აკრძალვა, ბათილობა ან სამართლებრივი ძალის არქონა არ იმოქმედებს ხელშეკრულების სხვა დებულებებისა და პირობების სამართლებრივ ძალასა თუ აღსრულებაზე.

5. ენა

- 5.1 ხელშეკრულება, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა და დოკუმენტაცია, რომლებიც გაცვლილ იქნა დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის, უნდა შესრულდეს ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში მოცემულ ენაზე. დამხმარე დოკუმენტაცია და ბეჭდური ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს, შესაძლოა შესრულდეს სხვა ენაზე იმ პირობით, თუ მათ თან ახლავთ შესაბამისი ნაწყვეტების ზუსტი თარგმანი აღნიშნულ ენაზე; ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების განმარტების მიზნით წინამდებარე თარგმანს ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა.
- 5.2 კონტრაქტორი პასუხისმგებელია დაფაროს თარგმანის შესრულების ხარჯები. იგი ასევე პასუხისმგებელია მოწოდებული დოკუმენტაციის თარგმანის სიზუსტეზე.

6. გაერთიანებული საწარმო, კონსორციუმი ან საზოგადოება

- 6.1 თუ კონტრაქტორი წარმოადგენს გაერთიანებულ საწარმოს, კონსორციუმს ან საზოგადოებას, ყველა მხარე ერთობლივად და ცალცალკე პასუხისმგებელია დამკვეთის მიმართ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ამასთან, მათ უნდა დანიშნონ ერთი მონაწილე, რომელიც გაუძღვება და უფლებამოსილი იქნება ამხანაგობის, კონსორციუმის ან საზოგადოების მიმართ ვალდებულებების დაწესებაზე. ამხანაგობის, კონსორციუმის ან საზოგადოების შემადგენლობა არ უნდა შეიცალოს დამკვეთის წინასწარი თანხმობის გარეშე.

7. უფლებამოსილება

- 7.1 კონტრაქტორის და მისი სუბკონტრაქტორები უნდა მიეკუთვნებოდნენ უფლებამოსილ ქვეყანას. ჩაითვლება, რომ კონტრაქტორი ან მისი სუბკონტრაქტორები მიეკუთვნებიან ქვეყანას, თუ ისინი არიან შესაბამისი ქვეყნის მოქალაქენი, ან რეგისტრირებულნი, დაფუძნებული არიან როგორც ამ ქვეყნის იურიდიული პირები და მოქმედებენ მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

8. შეტყობინებები

- 8.1 ერთი მხარის მიერ მეორისათვის ნებისმიერი შეტყობინება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში მოცემულ მისამართზე. ტერმინი "წერილობითი" აღნიშნავს წერილობითი ფორმით კომუნიკაციის წარმოებას, მიღების შესაბამისი დადასტურებით.
- 8.2 შეტყობინება მიღებულად ითვლება მისი ჩაბარებიდან, ან შეტყობინების ძალაში შესვლის თარიღიდან, უპირატესია უფრო გვიანი თარიღი.

9. მარეგულირებელი სამართალი

- 9.1 ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება დამკვეთის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში სხვაგვარად არ არის მითითებული.

10. დავების გადაწყვეტა

- 10.1 დამკვეთმა და კონტრაქტორმა ყველა ძალისხმევას უნდა მიმართონ, რათა პირისპირ, არაოფიციალური მოლაპარაკებების საშუალებით გადაჭრან მათ შორის წარმოშობილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი უთანხმოება ან დავა.
- 10.2 თუ ოცდარვა (28) დღის შემდეგ მხარეები ვერ შეძლებენ დავის ან უთანხმოების გადაჭრას ამგვარი ორმხრივი კონსულტაციების შედეგად, მაშინ დამკვეთი ან კონტრაქტორი უფლებამოსილია შეატყობინოს მეორე მხარეს მისი განზრახვის თაობაზე დაიწყოს საარბიტრაჟო სამართალწარმოება. დაუშვებელია საარბიტრაჟო სამართალწარმოების დაწყება ზემოაღნიშნული შეტყობინების გარეშე. ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელზეც საარბიტრაჟო სამართალწარმოების დაწყების განზრახვაზე შეტყობინება გაიგზავნა ამ პუნქტის შესაბამისად, საბოლოოდ გადაწყდება საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ. საარბიტრაჟო სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებამდე და მის შემდეგ. საარბიტრაჟო სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში მოცემული საპროცესო წესების შესაბამისად.

10.3 წინამდებარე დოკუმენტში ხსენებული სააბიტრაჟო სამართალწარმოების მიუხედავად,

(ა) მხარეებმა უნდა გააგრძელონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული; და

დამკვეთმა უნდა გადაუხადოს კონტრაქტორს ნებისმიერი გადახდას დაქვემდებარებული ფულადი თანხა.

11. მიწოდების ფარგლები

11.1 შესასრულებელი სამუშაო და მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დამკვეთის მოთხოვნებს (ტექნიკური დავალების ფარგლებში)

12. დასრულების დრო

12.1 კონტრაქტორმა უნდა დაასრულოს სამუშაო და თითოეული ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამუშაოს ან მისი ნაწილის დასრულებისათვის გამოყოფილ დროში, მათ შორის:

(i) იმისათვის, რომ სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვალოს დასრულებულად ქვეპუნქტ 13.1-ის შესაბამისად მისი ჩაბარებისათვის საჭიროა კონტრაქტში მოცემული ყველა სამუშაოს დასრულება.

12.2 სამუშაოების დასრულების ვადა უნდა შეესაბამებოდეს სამუშაოების განხორციელების გეგმაში მოცემულ სამუშაოების ჩაბარებისა და დასრულების გეგმას.

13. მიღება -ჩაბარება და დოკუმენტაცია

13.1 სამუშაო ან მისი ნაწილი მიღებული იქნება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

13.2 სამუშაოების ნაწილობრივი ან საბოლოო დასრულების შესახებ კონტრაქტორი დამკვეთს აცნობებს წერილობით. სამუშაოების ან მისი ნაწილის დასრულების შესახებ ინფორმაცია უნდა დამოწმდეს მშენებლობის ზედამხედველის მიერ. მშენებლობის ზედამხედველი ასევე შეამოწმებს სისტემის ფუნქციონირების გამართულობას. აღმოჩენილი ნაკლოვანებების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც არ იქნა აღმოფხვრილი კონტრაქტორის მიერ, სამუშაოები ან მისი ნაწილი არ იქნება მიღებული დამკვეთის მიერ.

13.3 დამკვეთი კონტრაქტორს აძლევს გონივრულ ვადას (დეტალური ვადა განისაზღვრება მშენებლობის ზედამხედველის მიერ)დეფექტის აღმოსაფხვრელად, თუმცა მათი არ აღმოფხვრის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია გამოიყენოს მუხლ 27-ში აღწერილი ჯარიმები.

13.4 დამკვეთი მიიღებს სამუშაოებს ან მათ ნაწილს, როდესაც (i) სამუშაოები დასრულდება კონტრაქტის შესაბამისად, მათ შორის 12.1 ქვეპუნქტში აღწერილ საკითხებთან მიმართებით და გარდა ქვეპუნქტ a, და (ii)-ში მოცემული შემთხვევებისა, როდესაც მიღება -ჩაბარების სერტიფიკატი გაცემული იქნება სამუშაოებზე ან ჩაითვლება გაცემულად ამ ქვეპუნქტის შესაბამისად.

13.5 სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ გაფორმდება "დროებითი" მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო საგარანტიო პერიოდის გავლისა და ყველა დეფექტის აღმოფხვრის შემდეგ, გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარება.

13.6 დოკუმენტაცია, რომელიც კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს დამკვეთს, მოცემულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში.

14. სამუშაოს მონიტორინგი

14.1 დანიშნული მშენებლობის ზედამხედველი განახორციელებს სამუშაოებისა და კონტრაქტორის მიერ შესრულების მონიტორინგს.

14.2 მშენებლობის ზედამხედველი, ისევე როგორც დამკვეთის წარმომადგენელი, უფლებამოსილი არიან განახორციელონ ტექნიკური მონიტორინგი და/ან შეამოწმონ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი, რათა განსაზღვრონ მისი შესაბამისობა კონტრაქტის მოთხოვნებთან.

- 14.3 შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება განისაზღვრება (ფორმა 2, რომელიც შესრულებული სამუშაოს სიას წარმოადგენს) შესაბამისი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.
- 14.4 კონტრაქტორის დეტალური ხარჯთაღრიცხვა (სამუშაოს რაოდენობისა და ფასების მითითებით) ასევე პროექტთან შესაბამისობა შესწავლილი იქნება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რათა დადგინდეს რეალური მოცულობები და ღირებულებები. დამკვეთი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის (დადებითი/დამაკმაყოფილებელი) საფუძველზე ჩაიბარებს შესაბამის სამუშაოებს. დამოუკიდებელი ექსპერტის დაქირავება მოხდება დამკვეთის მიერ.
- 14.5 თუ კონტრაქტორის მიერ ფორმა 2-ის სახით (მოცულობები და ღირებულებები) შესრულებული და წარდგენილი სამუშაოების მონაცემები განსხვავდება დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნისაგან, გადახდა მოხდება შესაბამის დოკუმენტებში მოცემული უმცირესი ფასის შესაბამისად.
- 14.6 თუ სამუშაოების მოცულობები შეიცვალა საჭიროებიდან გამომდინარე და არ შესრულდა სრულად (როგორც ეს პროექტით იყო გათვალისწინებული), კონტრაქტორი ვალდებულია წერილობით დაუსაბუთოს დამკვეთს ეს ფაქტი. დამკვეთი დაეთანხმება ასეთ ცვლილებას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიიღებს მშენებლობის ზედამხედველის მხრიდან შესაბამისი დადებითი დასკვნას. ამ შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე.

15. კონტრაქტორის ზოგადი ვალდებულებები

- 15.1 კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს და დაასრულოს სამუშაოები და მომსახურებები ხელშეკრულების შესაბამისად და აღმოფხვრას სამუშაოს ან მომსახურების ნებისმიერი დეფექტი.
- 15.2 კონტრაქტორი პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე ჩატარებული ოპერაციებისა და მშენებლობის მეთოდების შესაბამისობაზე, სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. გარდა კონტრაქტში მოცემული შემთხვევებისა, კონტრაქტორი პასუხისმგებელია მის ყველა დოკუმენტზე, დროებით სამუშაოებსა და აღჭურვილობის თითოეულ დეტალსა და მასალებზე. ამასთან, თითოეული დეტალი უნდა იყოს კონტრაქტთან შესაბამისობაში; კონტრაქტორი სხვაგვარად არ აგებს პასუხს მუდმივი სამუშაოების დაპროექტებასა და ტექნიკურ მახასიათებლებზე.
- 15.3 დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, კონტრაქტორი წარუდგენს ტექნიკური მომზადებისა და მეთოდების დეტალებს, რომლებიც მან შესთავაზა სამუშაოების შესრულებისათვის. დაუშვებელია დამკვეთთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ხსენებულ ტექნიკური მომზადებასა და მეთოდებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა.
- 15.4 კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ყველა სამუშაო და მომსახურება კონტრაქტის ზოგადი პირობების 11 და 12 პუნქტების შესაბამისად.
- 15.5 კონტრაქტორი ექვემდებარება მშენებლობის ზედამხედველს, და ხელს უწყობს მას თავისი ვალდებულებების შესრულების პროცესში და უქმნის მას ნორმალურ სამუშაო პირობებს.
- 15.6 კონტრაქტორი, საკუთარი ხარჯებით, გონივრულ ვადებში აღმოფხვრის ნებისმიერ ნაკლოვანებას, რომელზეც მიუთითებს მშენებლობის ზედამხედველი.
- 15.7 მასალების გამოყენებამდე კონტრაქტორმა მასალის ნიმუშები და სხვა შესაბამისი საგნები უნდა წარუდგინოს დამკვეთს/ მშენებლობის ზედამხედველს დასამტკიცებლად.
- 15.8 კონტრაქტორის თანამშრომლების 70% უნდა შედგებოდეს საქართველოს მოქალაქეებისაგან, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შესაბამის სამიზნე სოფლებში მცხოვრებ მოქალაქეებს.

16. ხელშეკრულების ფასი

- 16.1 კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისა და სამუშაოებისათვის დაკისრებული ფასი არ უნდა განსხვავდებოდეს კონტრაქტორის მიერ შეთავაზებული სატენდერო ფასისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფასის ცვლილება ნებადართულია ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების 16.1. მუხლის შესაბამისად.

- 16.2 თუ ნებისმიერი სამუშაოების რაოდენობა, რომელიც მოცემულია ფასების ცხრილში, არ შესრულდება ან შესრულდება ნაკლები ოდენობით, დამკვეთი გამოქვითავს მათ ხელშეკრულების ფასიდან. რეალურად შესრულებული სამუშაოების ოდენობა შემოწმდება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, როგორც ეს აღწერილია ხელშეკრულების ზოგადი პირობების 14 პარაგრაფში.

17. გადახდის პირობები

- 17.1 ხელშეკრულების ფასის, მათ შორის წინასწარი გადასახადების, ასეთის შემთხვევაში, გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების (SCC) შესაბამისად.
- 17.2 კონტრაქტორის მიერ გადახდის მოთხოვნა უნდა წარედგინოს დამკვეთს წერილობითი ფორმით, თანდართული ინვოისებით, სადაც შესაბამისად იქნება აღწერილი შესრულებული სამუშაოები; ასევე, მას თან უნდა ახლდეს დოკუმენტები ხელშეკრულების ზოგადი პირობების 13.5 პუნქტის შესაბამისად; გადახდის მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა ვალდებულებების შესრულების შემდეგ.
- 17.3 გადახდა შეძლების და გვარად უნდა განხორციელდეს დამკვეთის მიერ კონტრაქტორის მიერ ინვოისის ან გადახდის მოთხოვნის წარდგენის და დამკვეთის მიერ მისი მიღების დღიდან არა უგვიანეს 30 დღისა. გადახდისათვის საჭირო დოკუმენტაციის დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ხელ. განსაკუთრებულ პირობებში.
- 17.4 ვალუტა, რომელშიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდა კონტრაქტორის მიმართ უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო ფასის ვალუტას.
- 17.5 თუ დამკვეთი არ მოახდენს ნებისმიერ გადასახდელი თანხის გადახდას გადახდის ვადის ან ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობებში (SCC) მოცემული პერიოდის შესაბამისად, დამკვეთმა კონტრაქტორს უნდა გადაუხადოს პროცენტი დაყოვნებული გადახდისათვის დაყოვნების პერიოდისათვის თანხის სრულ გადახდამდე იმ ოდენობით, რომელიც მოცემულია SCC-ში, სასამართლო თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამდე ან მისი გამოტანის შემდეგ.

18. გადასახადები და მოსაკრებლები

- 18.1 დამკვეთის ქვეყნის გარეთ წარმოებული საქონლისათვის, კონტრაქტორი სრულად აგებს პასუხს გადასახადების, სახელმწიფო ბაჟის, სალიცენზიო გადასახადების და სხვა მოსაკრებლების გადახდაზე, რომლებიც დაწესებულია დამკვეთის ქვეყნის გარეთ.
- 18.2 თუ კონტრაქტორი სარგებლობს რაიმე სახის საგადასახადო შეღავათით, პრივილეგიით ან გათავისუფლებულია რაიმე გადასახადისაგან, დამკვეთმა ყველა ღონეს უნდა მიმართოს რათა საშუალება მისცეს კონტრაქტორს ისარგებლოს ზემოხსენებული შეღავათებით მაქსიმალურად დასაშვებ ფარგლებში

19. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 19.1. როგორც ეს მოთხოვნილია SCC-ის შესაბამისად, კონტრაქტორმა ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან თოთხმეტი (14) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია SCC-ში მოცემული ოდენობით
- 19.2 შესრულების გარანტიიდან მიღებული შემოსავალი გადახდილი უნდა იქნას დამკვეთის სასარგებლოდ, როგორც ნებისმიერი ზარალის კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. შესრულების გარანტია ძალაშია და გააჩნია სამართლებრივი ძალა, ვიდრე კონტრაქტორი დაასრულებს სამუშაოებს და აღმოფხვრის ნებისმიერ დეფექტს. საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორი გააგრძელებს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოქმედების ვადას სამუშაოების დასრულებამდე და ნებისმიერი ნაკლოვანებების აღმოფხვრამდე.
- 19.3 SCC-ის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების გარანტია მოთხოვნის შემთხვევაში შეტანილი უნდა იქნას ხელშეკრულების ვალუტა(ებ)ში, ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, რომელიც მისაღებია დამკვეთისათვის.

- 19.4 ხელშეკრულების შესრულების გარანტია გაიცემა დამკვეთის მიერ და უბრუნდება კონტრაქტორს არა უგვიანეს ოცდარვა (28) დღის განმავლობაში კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დასრულების დღიდან, მათ შორის საგარანტიო ვალდებულებებისა, თუ SCC-ით სხვაგვარად არ არის დადგენილი.
- 19.5 "დროებითი" მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ოდენობა უნდა შემცირდეს ხელშეკრულების ღირებულების 5% მდე და მოქმედი უნდა იყოს მთელი საგარანტიო პერიოდის დროს.

20. კონფიდენციალური ინფორმაცია

- 20.1 დამკვეთმა და კონტრაქტორმა უნდა დაიცვან კონფიდენციალურობა და მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაუმჟღავნონ მესამე პირებს დოკუმენტები, მონაცემები ან სხვა ინფორმაცია, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად იქნა მიწოდებული ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, ამგვარი ინფორმაცია მიწოდებულ იქნა ხელშეკრულების დასრულებამდე, შეწყვეტამდე, მისი შესრულების პროცესში, თუ მისი დასრულების შემდეგ. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კონტრაქტორს შეუძლია სუბკონტრაქტორს მიაწოდოს ისეთი დოკუმენტები, მონაცემები და სხვა ინფორმაცია, რომელსაც იგი მიიღებს დამკვეთისგან იმ ოდენობით, რომელიც საჭიროა ქვეკონტრაქტორის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის, ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტორმა უნდა მოსთხოვოს ქვეკონტრაქტორს მასზე დაკისრებული კონფიდენციალურობის ისეთივე დაცვა, როგორც მოეთხოვება თავად მას GCC-ის 20 პუნქტის შესაბამისად.
- 20.2 დამკვეთმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი დოკუმენტები, მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან და მიღებული აქვს კონტრაქტორისაგან ნებისმიერი მიზნით. ასევე, კონტრაქტორმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი დოკუმენტები, მონაცემები ან ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო დამკვეთისგან ნებისმიერი მიზნით, გარდა ხელშეკრულების შესრულებისა.
- 20.3 GCC-ის 20.1 და 20.2 ქვეპუნქტები შესაბამისად, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე, რომელიც
- ა) დამკვეთმა ან კონტრაქტორმა უნდა გაუზიაროს ბანკს ან სხვა დაწესებულებას, რომელიც მონაწილეობს კონტრაქტის დაფინანსებაში;
 - ბ) ახლა ან შემდგომში გადაიქცევა საჯარო ინფორმაციად მხარისაგან დამოუკიდებლად;
 - გ) დამტკიცებულია, რომ ეკუთვნოდა მხარეს გამჟღავნების მომენტისათვის და არ იყო მანამდე პირდაპირ ან ირიბად სხვა მხარისაგან მოპოვებული;
 - დ) სხვაგვარად კანონიერად ხდება ხელმისაწვდომი მხარისათვის მესამე მხარისაგან, რომელსაც არა აქვს ნაკისრი კონფიდენციალურობის ვალდებულება.
- 20.4 GCC-ს მე-20-ე პუნქტის მოცემული დებულებები არ ცვლიან კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას, რომელიც ნებისმიერმა მხარემ იკისრა ხელშეკრულების თარიღამდე მოწოდების ან ნებისმიერ ზემოხსენებულ ნაწილთან მიმართებით.
- 20.5 GCC-ის მე-20-ე პუნქტის დებულებები ძალაში რჩება ხელშეკრულების რაიმე მიზეზით შეწყვეტის ან დასრულების მიუხედავად.

21. ქვეკონტრაქტორები

- 21.1 კონტრაქტორმა სამუშაოები სრულად არ უნდა გადააბაროს ქვეკონტრაქტორს.
- 21.2 კონტრაქტორმა წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს ყველა დადებული ქვეკონტრაქტის შესახებ, თუ აღნიშნული უკვე არ იყო მოცემული სატენდერო შეთავაზებაში. ამგვარი შეტყობინება თავდაპირველ სატენდერო შეთავაზებაში ან მოგვიანებით არ ათავისუფლებს კონტრაქტორს ნებისმიერი ვალდებულებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობებისაგან.

21.3 ქვეკონტრაქტორები უნდა აკმაყოფილებდნენ GCC-ის 3 და 7 პუნქტებში მოცემულ დებულებებს.

22. ტექნიკური მახასიათებლები და სტანდარტები

22.1 ტექნიკური მახასიათებლები და ნახაზები

- (ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოები უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ მახასიათებლებს და სტანდარტებს, რომლებიც მოცემულია მე-5 თავში; იმ შემთხვევებში სადაც სამუშაოებისათვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული სტანდარტი, სამუშაოები უნდა განხორციელდეს ქვეყანაში არსებული სტანდარტის მიხედვით, როგორც ეს სექცია 5-შია

23. სამშენებლო მოედნის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

23.1 კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა გარემოს დაცვისა (როგორც სამშენებლო მოედანზე ასევე მის გარეთ) და ადამიანებისათვის მიყენებული ზიანი და უხერხულობა შეზღუდვისათვის, რომელიც გამოწვეულია დაბინძურებით, ხმაურით და მისი მოქმედებების სხვა შედეგებით.

23.2 თუ სხვაგვარად არ არის მოცემული SCC-ში:

ა) კონტრაქტორი პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე არ დაუშვას არაუფლებამოსილი პირები; და

ბ) უფლებამოსილი პირებში იგულისხმება კონტრაქტორისა და დამკვეთის პერსონალი და ნებისმიერი სხვა პერსონალი, რომელთა სამშენებლო მოედანზე დაშვების შესახებ დამკვეთი შეატყობინებს კონტრაქტორს.

23.3 სამუშაოების შესრულების განმავლობაში კონტრაქტორმა უნდა შეინარჩუნოს სამშენებლო მოედანი ყველა რაიმე წინააღმდეგობისგან თავისუფლად და უნდა შეინახოს, ან გადაყაროს ნებისმიერი არასაჭირო აღჭურვილობა ან ზედმეტი მასალები. კონტრაქტორმა უნდა გაიტანოს და გაათავისუფლოს სამშენებლო მოედანი ნებისმიერი ნანგრევებისა და ნაგვისაგან.

23.4 სამუშაოების დასრულების შემდეგ კონტრაქტორმა სამშენებლო მოედანი უნდა დატოვოს სუფთა და უსაფრთხო მდგომარეობაში.

24. სამუშაოს შესრულების აღრიცხვა

24.1 კონტრაქტორმა ყოველდღიურად უნდა აწარმოოს შესრულებული სამუშაოს, ასევე დაქირავებული პერსონალის და მათი მონაცემების, გამოყენებული მასალებისა და ხარისხის კონტროლის პროცესის აღრიცხვა.

25. უსაფრთხოების პროცედურები

კონტრაქტორი ვალდებულია:

- ა). დააკმაყოფილოს უსაფრთხოების საყოველთაოდ მიღებული ნორმები
ბ). იზრუნოს ყველა პირის უსაფრთხოებაზე, რომელიც დაშვებულია სამშენებლო მოედანზე.
გ). მიიღოს გონივრული ზომები, რათა დაიცვას სამშენებლო მოედანი და სამუშაოები არასაჭირო წინააღმდეგობისაგან საფრთხის აცილების მიზნით;
დ). უზრუნველყოს შემოღობვა, განათება, დაცვა და მეთვალყურეობა მე-13 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისა და გადაცემამდე.
ე). უზრუნველყოს ნებისმიერი დროებითი სამუშაოები (მათ შორის საავტომობილო გზა, ქვეითთათვის განკუთვნილი გზა, დაცვა და შემოღობვა) რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს სამუშაოების შესრულების გამო საზოგადოების დაცვისათვის, ასევე მიმდებარე მიწების მფლობელთა და მოსარგებლეთა დაცვისათვის.

26. გარანტია

- 26.1 კონტრაქტორი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში ყველა სამუშაო შესრულდება საყოველთაოდ მიღებული წესებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. გამოყენებული მასალები უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნებსა და ხელშეკრულებას.
- 26.2 კონტრაქტორი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაოები იქნება ისეთი ნაკლისაგან თავისუფალი, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას კონტრაქტორის ნებისმიერი ქმედების და უმოქმედობის გამო, ან რომელიც წარმოიშობა დაპროექტების, მასალებისა და მუშახელის გამო დამკვეთის ქვეყანაში არსებული ნორმალური გამოყენების პირობების დაცვით.
- 26.3 კონტრაქტორმა უნდა დააზღვიოს საქონელი და სამუშაოები ყველა რისკისგან შესაბამისად. სადაზღვევო პერიოდი ძალაში უნდა იყოს სამუშაოების დაწყებისდან საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე (საგარანტიო პერიოდის დასასრული)

დაზღვევამ უნდა მოიცვას მაგალითად, ტრანსპორტი, სამშენებლო სამუშაოები, მოწყობილობები და დანადგარები, ადამიანის დაზიანება მაგრამ არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ამით.

სამშენებლო სამუშაოებისა და მანქანა-დანადგარების დაზღვევამ უნდა დაფაროს განსაკუთრებულად ის რისკები, რომლებიც წარმოიქმნება სამშენებლო მოედანზე ოპერირებისა და კონსტრუქციების აწყობის დროს, რომელსაც საფუძვლად უდევს კონტრაქტორის ყველა სახის რისკის დაზღვევა ადამიანების დაზიანების ჩათვლით.

ყველა სახის დაზღვევა უნდა იყოს სრული დაფარვის (ყველა რისკისგან) და სადაც არის საჭირო მოიცავდეს ასევე ომის შესახებ დებულებებს (ტვირთის).

საგანგებო მოვლენების დაზღვევა, როგორც არის : ომი, ბუნტი, ტერორისტული აქტი ან რევოლუცია უნდა იყოს მაქსიმალურად შესაძლებელი ხარისხის გონივრული ვადებსა და პირობებზე. სხვა შემთხვევაში პროექტის მენეჯმენტი და კონტრაქტორმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას ამგვარი რისკების განაწილებაზე, KfW-სთან კოორდინაციით.

- 26.4 გარანტიის იურიდიული ძალის პერიოდი უნდა მოიცადეს 1 კალენდარულ წელს შესრულებული სამუშაოს დროებითი მიღება/ჩაბარების თარიღიდან. ამ პერიოდის განმავლობაში კონტრაქტორმა საკუთარი ხარჯით უნდა გამოასწოროს ნებისმიერ ნაკლი. მხოლოდ ყველა დეფექტის გამოსწორების და ასევე საგარანტიო ვადის ამოწურვის შემდეგ, გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი.
- 26.5 შეტყობინების შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ შეძლებს ნაკლოვანების აღმოფხვრას SCC-ში მოცემული პერიოდის განმავლობაში, დამკვეთს შეუძლია გონივრული პერიოდის განმავლობაში მიიღოს ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები, კონტრაქტორის რისკითა და ხარჯით. ამასთან, გავლენას არ იქონიებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა უფლებაზე, რომლითაც დამკვეთს შეუძლია ისარგებლოს კონტრაქტორის წინააღმდეგ.

27. წინასწარ შეფასებული ზარალი

- 27.1 გარდა GCC-ის 29-ე პუნქტში მოცემული შემთხვევებისა, თუ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს ნებისმიერ ან ყველა სამუშაოს ხელშეკრულებაში მითითებული ჩაბარების ვად(ებ)ის შესაბამისად, დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი უფლებების შეზღუდვის გარეშე, გაქვითოს ხსენებული სახელშეკრულებო ფასიდან, როგორც წინასწარ შეფასებული ზარალი - თანხა, რომელიც SCC -ში მოცემული შეუსრულებელი სამუშაოების ფასის (ტრანსპორტირებით) პროცენტული მაჩვენებლის ექვივალენტურია. გამოქვითვა ხდება თითოეული კვირისათვის ან სამუშაოს დაყოვნებული ნაწილისათვის შესრულების რეალურ ჩაბარებამდე, SCC-ში მოცემული პროცენტული მაჩვენებლის მაქსიმალურ ოდენობამდე. როდესაც მიიღწევა მაქსიმალური მაჩვენებელი დამკვეთს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება GCC-ის 31-ე პუნქტის შესაბამისად.

28. ცვლილება კანონსა და ნორმებში

28.1 თუ ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არის განხილული, სატენდერო შეთავაზების წარდგენის დღიდან 28 დღით ადრე განხორციელდება დამკვეთის ქვეყანაში არსებული ნებისმიერი კანონის, ნორმატიული აქტის, განკარგულების, ბრძანების ან კანონის ძალის მქონე დადგენილების მიღება, გამოქვეყნება, გაუქმება ან ცვლილება (აქვე ნაგულისხმევია შესაბამისი სამთავრობო ორგანოების მიერ კანონის განმარტება და გამოყენება), რომელიც შესაბამისად გავლენას ახდენს ჩაბარების თარიღზე ან/და ხელშეკრულების ფასზე, მაშინ უნდა მოხდეს შესაბამისი ჩაბარების თარიღის ან/და ხელშეკრულების ფასის შემცირება ან გაზრდა იმ ფარგლებში, რომელიც იმოქმედებს კონტრაქტორის მიერ მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. მიუხედავად ზემოხსენებულისა, არ უნდა განხორციელდეს ამგვარი დამატებითი ან შემცირებული ხარჯის ცალკე გადახდა ან კრედიტის სახით გაცემა იმ შემთხვევაში, თუ უკვე მოხდა საჭიროებისაგან მისი შეტანა ფასის კორექტირების პირობებში GCC-ის მე-16 პუნქტის შესაბამისად.

29. ფორს-მაჟორი

- 29.1 კონტრაქტორი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის კონფისკაციის, წინასწარ შეფასებულ ზარალსა თუ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტაზე იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების დაყოვნება ან ვალდებულებების სხვაგვარად შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.
- 29.2 ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მოვლენას ან სიტუაციას, რომელიც არ ექვემდებარება კონტრაქტორის კონტროლს და არაპროგნოზირებადია, შეუძლებელია მისი თავიდან აცილება და რომლის გამომწვევი მიზეზი არ გახლავთ კონტრაქტორის გულგრილობა ან ზრუნვის ნაკლებობა. ასეთი მოვლენები შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით - დამკვეთის მოქმედებები მისი სამართლებრივი კომპეტენციის ფარგლებში, ომები და რევოლუციები, ხანძრები, წყალდიდობები, ეპიდემიები, კარანტინის შეზღუდვები და ტვირთის ემბარგო.
- 29.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით უნდა შეატყობინოს დამკვეთს ასეთი მდგომარეობისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ დამკვეთის მიერ წერილობით სხვაგვარად არ განისაზღვრება, კონტრაქტორმა უნდა გააგრძელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს გონივრულია და ეძიოს ნებისმიერი ალტერნატიული საშუალება სამუშაოს შესრულებისათვის, რომელსაც ხელს არ უშლის ფორს-მაჟორული მოვლენა.

30. ვადის გაგრძელება

- 30.1 თუ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ დროს კონტრაქტორი ან მისი ქვეკონტრაქტორები დაუპირისპირდებიან პირობებს, რომლებიც ხელს უშლის სამუშაოების დროულ დასრულებას GCC-ის მე-12 პუნქტის შესაბამისად, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს დამკვეთს დაყოვნების შესახებ, მის სავარაუდო ხანგრძლივობასა და მიზეზებზე. კონტრაქტორის შეტყობინების მიღებიდან, დამკვეთმა, რაც შეიძლება დროულად უნდა შეაფასოს სიტუაცია და, მისი შეხედულებისაგან, გაუგრძელოს კონტრაქტორის შესრულების ვადები, ასეთ შემთხვევაში ვადის გაგრძელება რატიფიცირებულ უნდა იქნას მხარეების მიერ კონტრაქტში ცვლილებების შეტანით.
- 30.2 გარდა ფორს-მაჟორული შემთხვევებისა, რომლებიც მოცემულია GCC-ის 29-ე პუნქტში, კონტრაქტორის სამუშაოს ჩაბარებისა და დასრულების ვალდებულებები, კონტრაქტორს ავალდებულებს წინასწარ შეფასებული ზარალის გადახდას GCC-ის 17-ე პუნქტის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადის გაგრძელება შეთანხმებულია GCC-ის ქვეპუნქტ 30.1-ის შესაბამისად.

31. შეწყვეტა

31.1 შეწყვეტა დეფოლტის გამო

- (a) ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთი, არსებული სამართლებრივი საშუალებების დათმობის გარეშე, ვალდებული იქნება შეუსრულებლობის შესახებ კონტრაქტორის მიერ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება სრულად ან ნაწილობრივ:
- (i) თუ კონტრაქტორი ვერ შეძლებს შეასრულოს ყველა ან რომელიმე სამუშაო ხელშეკრულებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში, ან დამკვეთის მიერ მინიჭებული გაგრძელებული ვადის განმავლობაში GCC-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად;
- (ii) თუ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ნებისმიერ სხვა ვალდებულებას; ან
- (iii) თუ, ხელშეკრულების მოპოვების ან მისი შესრულების მიზნით, კონტრაქტორი დამკვეთის აზრით ჩართულია თაღლითურ და კორუფციულ საქმიანობაში როგორც ეს განსაზღვრულია GCC-ის მე-3 პუნქტში.
- (b) იმ შემთხვევაში, თუ GCC-ის 31.1(ა) პუნქტის შესაბამისად, დამკვეთი შეწყვეტს ხელშეკრულებას სრულად ან ნაწილობრივ, დამკვეთი უფლებამოსილია შეისყიდოს კონტრაქტორის მიერ შეუსრულებელი სამუშაოების მსგავსი მისთვის მისაღები პირობებით და გზით; ხოლო კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთის მიმართ გაწიოს დამატებითი ხარჯები ასეთი მსგავსი სამუშაოებისათვის. თუმცა კონტრაქტორი გააგრძელებს ხელშეკრულების შესრულებას მის შეწყვეტამდე.

31.2 ხელშეკრულების შეწყვეტა გადახდისუუნარობის გამო

- (a) დამკვეთს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება კონტრაქტორისთვის შეტყობინების მიწოდებით კონტრაქტორის გაკოტრების ან სხვაგვარად გადახდისუუნარობის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდება კონტრაქტორისთვის კომპენსაციის გადახდის გარეშე, იმ პირობით, რომ ასეთი შეწყვეტა არ მიაყენებს ზიანს ან იმოქმედებს ნებისმიერ ქმედების ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებაზე, რომელიც დასჭირდა ან შეიძლება შემდგომში დასჭირდეს დამკვეთს.

31.3 დამკვეთის ინიციატივით კონტრაქტის შეწყვეტა

- (a) დამკვეთს კონტრაქტორისათვის გაგზავნილი შეტყობინებით ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება სრულად ან ნაწილობრივ. შეტყობინება შეწყვეტის შესახებ უნდა აღნიშნავდეს, რომ შეწყვეტა ხდება დამკვეთის ინიციატივით, ასევე თუ რა ფარგლებში ხდება კონტრაქტორის კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შეწყვეტა და თარიღს თუ როდის შედის შეწყვეტა ძალაში.
- (b) სამუშაოები, რომლებიც კონტრაქტორის მიერ შეწყვეტის შეტყობინების დღიდან ოცდარვა (28) დღეში დასრულდება, მიღებული იქნება დამკვეთის მიერ კონტრაქტში მოცემული პირობებითა და ფასებით. დარჩენილ სამუშაოებთან დაკავშირებით კი დამკვეთმა შეიძლება გადაწყვიტოს:
- (i) ნებისმიერი ნაწილის დასრულება და ჩაბარება ხელშეკრულებაში მოცემული პირობებისა და ფასების შესაბამისად; ან/და დარჩენილი სამუშაოების გაუქმება და ნაწილობრივ დასრულებული სამუშაოებისათვის, ასევე მასალებისა და კონტრაქტორის მიერ შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოებისათვის შეთანხმებული ოდენობის გადახდა.

32. უფლება-მოვალეობების გადაცემა

- 34.1 დამკვეთი, ისევე როგორც კონტრაქტორი არ არიან უფლებამოსილნი გადასცენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ან მათ ნაწილი, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

თავი 7 - ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები უნდა დაერთოს ან/და შესწორებები შევიდეს ხელშეკრულების ზოგად პირობებში. კონფლიქტის შემთხვევაში, ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებს ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა ხელშეკრულების ზოგად დებულებებთან მიმართებაში .

GCC 1.1(h)	დამკვეთის ქვეყანას წარმოადგენს: საქართველო
GCC 1.1(i)	დამკვეთს წარმოადგენს: WWF -ის გერმანიის ფილიალი საქართველოში და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
GCC 1.1 (n)	მშენებლობის ადგილი(ები)/ დანიშნულების ადგილი არის: საქართველო.
GCC 5.1	ხელშეკრულების ენა: ორენოვანი ინგლისური და ქართული. ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას ინგლისურ ენას ენიჭება უპირატესობა.

GCC 8.1	შეტყობინებებისთვის, დამკვეთის მისამართს უნდა წარმოადგენდეს: WWF გერმანიის ფილიალი საქართველოში. დირექტორი ნიკა მალაზონია ალექსიძის ქუჩა #11 თბილისი საფოსტო ინდექსი: 0193 ქვეყანა: საქართველო ტელეფონი: +995 32 223 75 03 ელ. ფოსტის მისამართი nmalazonia@wwfcaucasus.org , ასლი nkoberidze@wwfcaucasus.org და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი თამარ კვანტალიანი გულუას ქუჩა #6 თბილისი საფოსტო ინდექსი 0114 ქვეყანა: საქართველო ტელეფონი: +995 32 275 23 52 ელ. ფოსტის მისამართი tkvantaliani@apa.gov.ge
GCC 9.1	მარეგულირებელი კანონი: საქართველოს კანონმდებლობა
GCC 10.2	ხზ-ის 10.2 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო წარმოების პროცედურების წესები შემდეგნაირია: (ა) ხელშეკრულება უცხოელ კონტრაქტორთან: ხზ-ის 10.2 (ა) - წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა დავა უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მორიგებისა და არბიტრირების წესების შესაბამისად, ერთი ან მეტი არბიტრის მიერ ზემოაღნიშნული წესების დაცვით ერთი არბიტრის შერჩევა ხორციელდება ICC Frankfurt a.M., გერმანიის მიერ, გამოიყენება ინგლისური ენა, არბიტრირების ადგილი უნდა იყოს ფრანკფურტი, გერმანია. . (ბ) ხელშეკრულება დამკვეთის ეროვნების კონტრაქტორთან დამკვეთს და კონტრაქტორს შორის (რომელიც იგივე ქვეყნიდანაა) დავის შემთხვევაში, დავა უნდა გადაწყდეს სასამართლოს ან

	არბიტრაჟის მეშვეობით, დამკვეთის ქვეყნის კანონის შესაბამისად.
GCC 12.1	სამუშაოების დასრულების ვადა შეადგენს თავი 5 სატენდერო ტექნიკური 110 დღეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და შესაბამისობაში უნდა იყოს კონტრაქტორის მიერ წარდგენილი გეგმა გრაფიკთან, რომელიც ხელშეკრულების პირობების მოლაპარაკების დროს შესაძლებელია შეიცვალოს/ადაპტირებულ იქნას.
GCC 17.3	გადახდისთვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია: ა. ანგარიშფაქტურა ბ. ინვოისი გ. ელექტრონული ზედნადები და სხვა გადახდის დოკუმენტები. ასევე დ. დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი ე. დასრულებული სამუშაოების ფასის გადანაწილება დეტალური ხარჯთაღრიცხვა ვ. ექსპერტის დასკვნა (დადებითი/დამაკმაყოფილებელი)
GCC 16.1	შესრულებული სამუშაოების ერთეული ფასი არ უნდა იყოს შესწორებადი
GCC 17.1	GCC 17.1— საავანსო გადახდა: ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 20%-ს ოდენობით გადახდილი იქნება ხელშეკრულების გაფორმების, ავანსის გადახდაზე შესაბამისი წერილობით მოთხოვნის და საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის ავანსის ოდენობის თანხაზე წარდგენის შემდეგ 30 დღის განმავლობაში. პირველი შუალედური გადახდა: ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 40% ის ოდენობით გადახდილი იქნება პირველი შუალედური მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ 30 დღის მანძილზე. მეორე შუალედური გადახდა: ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 30% ის ოდენობით გადახდილი იქნება მეორე შუალედური მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ 30 დღის მანძილზე. საბოლოო გადახდა: ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10% ის ოდენობით გადახდილი იქნება „დროებითი“ მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენა, რომელიც მოიცავს დაკავებულ თანხებს საგარანტიო პერიოდში გასაწევი მომსახურებისათვის. არსებული ხელშეკრულების შესრულების გარანტია შეიძლება შემცირებულ იქნას ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5% მდე. (იხილეთ ზოგადი პირობების მუხლი 19.5)

GCC 17.5	გადახდის-ვადაგადაცილების პერიოდი რის შემდეგაც დამკვეთმა კონტრაქტორს უნდა გადაუხადოს პროცენტი, შეადგენს 30 დღეს . პროცენტული განაკვეთი შეადგენს წლიურ 7%-ს
GCC 18 (ყველა მუხლები)	დამკვეთის მხრიდან, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო პასუხისმგებელია დაფაროს იმპორტის გადასახადები და მოსაკრებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის, ასევე დღგ. სხვა დანარჩენი თანხების ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია WWF გერმანიის ფილიალი საქართველოში. ყველა სახის გადასახადებისა და მოსაკრებლების ასევე სხვა თანხების ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების 17.1 ქვეპუნქტში მითითებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.
GCC 19.1	ხელშეკრულების შესრულების გარანტია უნდა იყოს წარდგენილი ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10% ის ოდენობით „დროებითი“ (წინასწარი) მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე, ხოლო შემდეგ შემცირებული ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-მდე. აღნიშნული გარანტია 5 % ის მოცულობით უნდა ფარავდეს მთელ საგარანტიო პერიოდს და ძალაში უნდა იყოს საგარანტიო პერიოდის დაწყებიდან დამთავრებამდე და შესაბამისად საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე. ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარდგენილი უნდა იყოს კონტრაქტის მინიჭების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.
GCC 19.3	შესრულების გარანტია უნდა იყოს იმ ფორმით და იმ ვალუტაში, რომელიც დადგენილია სატენდერო დოკუმენტაციის სექცია 8-ით, სახელწოდებით „ხელშეკრულების ფორმები“.
GCC 21	ხელშეკრულების მთლიანი მოცულობის 30% დაშვებულია გაეცეს ქვე კონტრაქტით. ქვეკონტრაქტორის წინასწარი შეთანხმება დამკვეთთან არ საჭიროებს თუ კი ქვე კონტრაქტით გასაცემი სამუშაოს მოცულობა არ აღემატება 1%-ს.
GCC 27.1	ლიკვიდური ზარალი უნდა იყოს 0,05% დღეში
GCC 27.1	ლიკვიდური ზარალის მაქსიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 10%-ს
GCC 26.4	გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს ადგილზე სამუშაოების დასრულების დღიდან 12 თვე გარანტიის მიზნებისთვის, დანიშნულების ადგილი განისაზღვრება სამუშაოების ჩატარების ადგილად.
GCC 26.5	შეკეთების ან შეცვლის პერიოდი წარმოადგენს 21 დღეს

თავი 8 - ხელშეკრულების ფორმები

შემოთავაზების მიღების წერილი

თბილისი, _____

ადრესატი:

არსი: შეტყობინება ხელშეკრულება #. ICB #JNP/W/2013/01 გაფორმების თაობაზე

გატყობინებთ, რომ სატენდერო შეთავაზება თარიღით ***** ჯავახეთის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის სოფლების წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად

მისაღები ხელშეკრულების ფასის

***** ლარის (***** ლარის) ოდენობით, დღგ-ს, გადასახადების, იმპორტის მოსაკრებლის და სხვა ხარჯების ჩათვლით „ინსტრუქცია განმცხადებელთათვის“ შესაბამისად მოდიფიცირებული და შესწორებული, მიღებულია

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გთხოვთ, წარმოადგინოთ ხელშეკრულების შესრულების გარანტია ***** ლარის ღირებულების ოდენობით, 14 დღის განმავლობაში. ამისათვის გამოიყენეთ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ფორმა, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის მე-8-ე თავში (ხელშეკრულების ფორმები).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

თანდართული დოკუმენტაცია: საკონტრაქტო შეთანხმება

საკონტრაქტო შეთანხმება

წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა -----(თარიღი), ერთის მხრივ -----
დამკვეთის სახელი -----(შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ ----- **კონტრაქტორის**
სახელი ----- (შემდგომში „კონტრაქტორი“) :

მხედველობაში ვიღებთ რა დამკვეთის სურვილს, რომ საქონელი, რომელიც ცნობილია -----
ხელშეკრულების სახელი ----- მიწოდებულ უნდა იყოს კონტრაქტორის მიერ, და რომ დამკვეთი
თანახმაა კონტრაქტორმა შეასრულოს და დაასრულოს აღნიშნული მომსახურება და გამოასწოროს
აღმოჩენილი ნაკლი

დამკვეთი და კონტრაქტორი თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში სიტყვები და გამოთქმები უნდა ატარებდნენ იგივე მნიშვნელობას, რაც მინიჭებული აქვთ ხელშეკრულების ზოგადი და განსაკუთრებული პირობების შესაბამისად.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან და მიიჩნევიან ხელშეკრულების ნაწილად. წინამდებარე ხელშეკრულებას აქვს უპირატესი ძალა სხვა სახელშეკრულებო დოკუმენტაციაზე.
 - a. შემოთავაზების მიღების წერილი
 - b. ხელშეკრულების განმარტებების/მოლაპარაკებების მემორანდუმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - c. შეთავაზების ფორმა;
 - d. სატენდერო დოკუმენტაციის დანართები;
 - e. განმარტებითი შეხვედრის ოქმები;
 - f. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები;
 - g. ხელშეკრულების ზოგადი პირობები;
 - h. უფლებამოსილების ფარგლები;
 - i. განხორციელების განრიგი;
 - j. ფასების ცხრილი;
 - k. ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს.
3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა გახორციელდეს დამკვეთის მიერ კონტრაქტორის სასარგებლოდ, მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელებენ შესაბამის სამუშაოებს და გამოასწორობენ არსებულ დეფექტებს.
4. დამკვეთი თანახმაა გადაუხადოს კონტრაქტორს, მხარეთა შორის შეთანხმებულ დროსა და დადგენილი ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური სამუშაოების შესრულებისა და დეფექტის გამოსწორებისთვის,

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან აღნიშნული ხელშეკრულება
აღსრულდეს ქვემოთ მითითებული თარიღისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის
შესაბამისად

ხელმოწერილია მიერ ხელმოწერილია მიერ

დამსაკმებლის სახელით კონტრაქტორის სახელით

წინასწარი გადახდის გარანტია

KfW -ის სტანდარტული ფორმა (გამოსაყენებლად სავალდებულო)

გარანტიის გამცემი ბანკის მისამართი:

.....
.....

ბენეფიციარის მისამართი (კონტრაქტორი სააგენტო):

.....

----- *თარიღი* ----- *თქვენ გააფორმეთ ხელშეკრულება* ----- *კონტრაქტორი* -----
(„კონტრაქტორი“) *ჯავახეთის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის სოფლების წყლის სისტემის რეაბილიტაციის ჩასატარებლად*

ღირებულება ----- ლარი

ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, კონტრაქტორი იღებს წინასწარ გადასახდელ თანხას -----
ოდენობით, რაც შეადგენს შეკვეთის ფასის ----- %-ს.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ----- (გარანტორი), უარს ვაცხადებთ რა ზემოაღნიშნული
ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროტესტზე და დაცვაზე, აქვე ვიძლევიტ შეუქცევად და გამოუხმობად
გარანტიას, თქვენი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, დაუყოვნებლივ გადავუხადოთ კონტრაქტორს
ნებისმიერი -----მდე (სიტყვიერად) თანხა წინასწარ, წერილობითი განცხადების შესაბამისად,
კონტრაქტორის მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სათანადოდ ვერ შესრულების თაობაზე. წინამდებარე
გარანტია ძალაში შედის კონტრაქტორის ანგარიშზე თანხის გადარიცხვისთანავე.

წინამდებარე გარანტიიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნის შემთხვევაში, გადასახდელი თანხა უნდა
აღირიცხოს ანგარიშზე KfW, Frankfurt am Main (BIC: KFWIDEFF, BLZ 500 204 00), ანგარიშის ნომერი.
38 000 000 00(IBAN: DE53 5002 0400 3800 0000 00 საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს / სსიპ
დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახელზე

წინამდებარე გარანტიის ვადა იწურება არა უგვიანეს *.....

აღნიშნულ თარიღამდე, მიღებული უნდა გვქონდეს მოთხოვნა გადახდასთან დაკავშირებით წერილის ან
კოდირებული ტელეკომუნიკაციის მეშვეობით. ვაცნობიერებთ, რომ აღნიშნულ გარანტიას დაგვიბრუნებთ მისი
ვადის გასვლის ან მთლიანი გადასახდელი თანხის გადახდის შემდეგ..

წინამდებარე გარანტია რეგულირდება ----- კანონის შესაბამისად

.....

ადგილი, თარიღი, გარანტორი

*შენიშვნა: * ჩასვით თარიღი წინასწარი გადახდის გარანტიის თანხის დაფარვის სავარაუდო თარიღიდან. ოცდა
რვა დღის მიმატებით*

ხელშეკრულების შესრულების გარანტია (KfW ფორმატი)
KfW -ს სტანდარტული ფორმა (სავალდებულოა გამოსაყენებლად)

გარანტორი ბანკის მისამართი:

.....**ბანკი**

ბენეფიციარის მისამართი (კონტრაქტორი სააგენტო):

.....**ბენეფიციარი**

.....

----- **თარიღი** ----- თქვენ გააფორმეთ ხელშეკრულება ----- **კონტრაქტორი** -----
(„კონტრაქტორი“) **ჯავახეთის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის სოფლების წყლის სისტემის რეაბილიტაციის ჩასატარებლად**
ღირებულება ----- **ლარი**

ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, კონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ს.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ----- (გარანტორი), უარს ვაცხადებთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა წინააღმდეგობაზე და თავდაცვაზე და ვიმღებთ შეუქცევად და გამოუხმობად გარანტიას, რომ თქვენი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გადავიხდით - -----მდე (სიტყვიერად) თანხას, წერილობითი განცხადების შესაბამისად, კონტრაქტორის მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სათანადოდ ვერ შესრულების თაობაზე. წინამდებარე გარანტია ძალაში შედის კონტრაქტორის ანგარიშზე თანხის გადარიცხვისთანავე.

წინამდებარე გარანტიიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნის შემთხვევაში, გადასახდელი თანხა უნდა ჩარიცხოს ანგარიშზე KfW, Frankfurt am Main (BIC: KFWIDEFF, BLZ 500 204 00), ანგარიშის 38 000 000 00 (IBAN: DE53 5002 0400 3800 0000 00) საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახელზე.

წინამდებარე გარანტიის ვადა იწურება არა უგვიანეს *.....

აღნიშნულ თარიღამდე, მიღებული უნდა გვექონდეს მოთხოვნა გადახდასთან დაკავშირებით წერილის ან კოდირებული ტელეკომუნიკაციის მეშვეობით. ვაცნობიერებთ, რომ აღნიშნულ გარანტიას დაგვიბრუნებთ მისი ვადის გასვლის ან მთლიანი გადასახდელი თანხის გადახდის შემდეგ..

წინამდებარე გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ადგილი, თარიღი, გარანტორი

..... **ბანკის ბეჭედი და ხელმოწერა**

შენიშვნა: დახრილი ტექსტი წარმოადგენს მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მომზადდეს გარანტია და უნდა ამოიშალოს საბოლოო დოკუმენტიდან.

შენიშვნა: ჩასვით თარიღი წინასწარი გადახდის გარანტიის თანხის დაფარვის სავარაუდო თარიღიდან. ოცდა რვა დღის მიმატებით*